პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2021 წლის _ _ ნოემბერი

ქ. წყალტუბო

სს „მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, გარე განათების ბოძების (ხაზოვანი ნაგებობები) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 9 ნოემბრის #48-4821313125 წერილი, რომელშიც სს „მაგთიკომი“-ს“ წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას **სს „მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, გარე განათების ბოძების (ხაზოვანი ნაგებობები) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, სარგებლობაში გადაცემას.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, **სს „მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, გარე განათების ბოძების (ხაზოვანი ნაგებობები) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, დანართი #1-ის შესაბამისად.**

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ბერაძე

შთანხმებულია მ. შალამბერიძე

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4821313125**
თარიღი: **09/11/2021**
პინი: **2368**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სს ,,მაგთიკომის'' მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერის წერილი (თან ერთვის), რომელშიც აღნიშნულია, რომ 2020 წლის 04 დეკემბერს დადებული N5 საიჯარო ხელშეკრულებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტისაგან იჯარის უფლებით გადაცემული ჰქონდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, სოფელ ფარცხანაყანევში და წყალტუბო-ქუთაისის საავტომობილო გზაზე განთავსებული გარე განათების ბოძები (ხაზოვანი ნაგებობები).იმის გამო, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებას 2021 წლის 04 დეკემბერს უმთავრდება მოქმედების ვადა, ითხოვს, აღნიშნული ხაზოვანი ნაგებობები ისევ გადაეცეს იჯარის უფლებით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122–ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა, სს ,,მაგთიკომს'' პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით გადაეცეს დანართ N1-ში მითითებულია გარე განათების ბოძები (ხაზოვანი ნაგებობები) ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით.

პატივისცემით,

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

343

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი
1	2	3	4
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.305
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 44.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.306
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.307
4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 53.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.308
5	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 71.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.309
6	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 11.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.310
7	წყალტუბო-ქუთაისის საავტომობილო გზა	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 242.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.144

ადრესატი:

მურმან შალამბერიძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49213212**
თარიღი: **17/11/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარეს ბატონ მურმან შალამბერიძეს

ბატონო მურმან,

წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს -**სს „მაგთიკომი"-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, გარე განათების ბოძების (ხაზოვანი ნაგებობები) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე",კომისიის სხდომაზე განსახილველად.**

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

სს „მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, გარე განათების ბოძების (ხაზოვანი ნაგებობები) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2021 წლის 18 ნოემბრის კომისიის სხდომაზე განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 9 ნოემბრის #48-4821313125 წერილი, რომელშიც სს „მაგთიკომი“-ს“ წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას, სს „მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, გარე განათების ბოძების გადაცემას (ხაზოვანი ნაგებობები), ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, სს „მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, გარე განათების ბოძების (ხაზოვანი ნაგებობები) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, დანართი #1-ის შესაბამისად და მიზანშეწონილად მიიჩნია, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს რიგგარეშე სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
მურმან შალამბერიძე

347